

ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგება

შპს „აგროტექნო“

პერიოდი: 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე ..3	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება.....	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები.....	8
შპს „აგროტექნო“-ს (ს/ნ 404451133) მმართველობითი ანგარიშგება	17

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე


ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში;
- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 26 სექტემბერს მენეჯმენტის სახელით:


დირექტორი
მანუჩარ ზიტაიშვილი
2025 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო


ფინანსური მენეჯერი
ხატია დიდუბაშვილი
2025 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

შპს „აგროტექნო“

საანგარიშგებო ფულადი ერთეული ლარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნები	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	384,298	448,307	263,784
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	1,323,661	1,500,434	2,742,816
მარაგები	9	7,541,223	6,674,010	4,842,118
საგადასახადო აქტივი		183,037	112,608	630,482
სულ მიმდინარე აქტივები		9,432,219	8,735,359	8,479,200
გრძელვადიანი აქტივები				
გრძელვადიანი მატერიალური აქტივები	10	182,785	74,691	94,995
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივები	11	4,848	4,327	5,141
სხვა გრძელვადიანი აქტივები		187,634	79,017	100,136
სულ აქტივები		9,619,852	8,814,376	8,579,336
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	12	1,698,751	1,390,889	2,613,881
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		229	1,810	141
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	-
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	13	721,020	478,410	-
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	13	810,138	330,016	308,729
ფინანსური იჯარა	14	17,061	-	-
სხვა ვალდებულებები		520,182	11,289	792,227
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,767,381	2,212,414	3,714,978
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	13	4,913,094	4,336,391	2,224,044
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,913,094	4,336,391	2,224,044
სულ ვალდებულებები		8,680,476	6,548,805	5,939,022
საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება	3	939,377	2,265,571	2,640,314
სულ საკუთარი კაპიტალი		939,377	2,265,571	2,640,314
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		9,619,852	8,814,376	8,579,336

დირექტორი
მანუჩარე ჩიტაიშვილი
2025 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



ფინანსური მენეჯერი
ხატია დიდუბაშვილი
2025 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

შპს „აგროტექნო“

საანგარიშგებო ფულადი ერთეული ლარი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნები	31/12/2024	31/12/2023
შემოსავალი საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან	4	8,408,215	10,701,509
გაყიდვების თვითღირებულება		(7,299,582)	(9,365,862)
საერთო მოგება		1,108,633	1,335,647
დასაქმებულთა ანაზღაურება		(908,844)	(746,018)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(34,190)	(24,254)
საპროცენტო ხარჯი	5	(611,424)	(341,634)
იჯარის ხარჯი		(220,578)	(203,144)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	6	(484,591)	(302,081)
სულ საოპერაციო ხარჯები		(2,259,627)	(1,617,131)
საოპერაციო მოგება		(1,150,994)	(281,484)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით გაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		(202,941)	(11,575)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		27,741	180,831
მოგება დაზგვრამდე		(1,326,194)	(112,228)
მოგების გადასახადი		-	(7,430)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		(1,326,194)	(119,658)

დირექტორი
მანუჩარი ჩიტაიშვილი
2025 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



ფინანსური მენეჯერი
ხატია დიდუბაშვილი
2025 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

შპს „აგროტექნო“

საანგარიშგებო ფულადი ერთეული ლარი

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	2,640,314
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	(119,658)
დივიდენდის გატანა	(42,105)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(212,979)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	2,265,571
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	(1,326,194)
დივიდენდის გატანა	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	939,377



დირექტორი
მანუჩარი ჩიტაიშვილი
2025 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

ფინანსური მენეჯერი
ხატია დიდუბაშვილი
2025 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

შპს „აგროტექნო“

საანგარიშგებო ფულადი ერთეული ლარი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	(1,172,235)	(1,807,663)
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	(56,371)	-
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	1,208,184	2,031,598
წმინდა ფულადი ნაკადები	(20,422)	223,935
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(43,587)	(39,412)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	448,307	263,784
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	384,298	448,307

დირექტორი
მანუჩარი ჩიტაიშვილი
2025 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



ფინანსური მენეჯერი
ხატია დიდუბაშვილი
2025 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აგროტექნო“ დაფუძნდა 2013 წლის 5 ივლისს. საიდენტიფიკაციო კოდი: 404451133, მარეგისტრირებული ორგანო - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ბროსეს ქ., №2, ოფისი №17. დამფუძნებელი მიხეილ ალხანიშვილი (პ/ნ 01003001393) – 100%, დირექტორი მანუჩარი ჩიტაიშვილი (პ/ნ 60003005242). შპს „აგროტექნო“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, მოწყობილობებით და საკუთნოებით, სხვა სატრანსპორტო საშუალებების რემონტი და ტექნიკური მომსახურება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

შესაბამისობის განცხადება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჟოს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში („ქართული ლარი“).

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპისა და ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად.

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გაანგარიშებულია კომპანიის სამუშაო ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკუთრივ სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად, წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში, როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი. ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომელიც განისაზღვრა საქართველოს ბანკთაშორის ოპერაციების შედეგად, აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში იყო შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი/1 ევრო	2.9306	2.9753
ლარი/1 ჩინური იუანი	0.38452	0.37819

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით მიღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. გადასახადის გადამხდელის უმრავლესობას არ უწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ ანუღირება გაუკეთა მის ყველა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივსა და ვალდებულებას.

ძირითადი საშუალებები

საკუთრებაში არსებული აქტივები

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივის თვითღირებულების განაწილების გზით სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის ნორმები განსხვავებულია ძირითადი საშუალებების ჯგუფების მიხედვით, კერძოდ:

- შენობა-ნაგებობები	5%
- მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	20%
- ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
- სატრანსპორტო საშუალებები	20%

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის

დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს აქვთ განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და ძირითადად მოიცავენ კომპიუტერულ და საბუღალტრო პროგრამების ლიცენზიებს. ისინი აღიარებულია საწყის ღირებულებას მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია. არამატერიალური აქტივების ცვეთის ნორმა არის 15%.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც

განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი“ მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, უმეტესწილად, ხორციელდება ავანსად თანხის მიღების შემდგომ. საკრედიტო პირობით რეალიზაციის განხორციელებისას დებიტორულ დავალიანებას, ძირითადად, არ ერიცხება პროცენტი. თუ საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, ხდება მოთხოვნების შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არის უიმედო. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულებში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულებში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის

ჯგუფის მიერ გაყიდულ საქონლს ახლავს გარანტია, რომ მას 6 თვის/ერთი/ორი წლის განმავლობაში არ აღმოაჩნდება საწარმოო წუნი. საქონლის წუნის გამოსწორებას, ან გამოცვლას კომპანია ახორციელებს საკუთარი შეხედულებისამებრ. როდესაც ამონაგები აღიარდება, შეიქმნება ანარიცხები საგარანტიო ვალდებულების შეფასებული სავარაუდო დანახარჯებისთვის.

სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე, რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ ვითარებაში მიიჩნევა ლოგიკურად.

3. დივიდენდი

დივიდენდი გაციემა დირექტორის მოთხოვნის საფუძველზე გაუნაწილებელი მოგებიდან.

ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	2,640,314
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	(119,658)
დივიდენდის გატანა	(42,105)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(212,979)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	2,265,571
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	(1,326,194)
დივიდენდის გატანა	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	939,377

მოგების გადასახადი

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტის მიერ შეცვლილი საგადასახადო კოდექსის თანახმად მოგების გადასახადი გაიანგარიშება გატანილი დივიდენდის პროპორციულად. მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენს 15%-ს. შესაბამისად მოგების გადასახადი გაანგარიშებულია დივიდენდის განაწილების შედეგად. 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდში დივიდენდის გაციემა არ მომხდარა, კომპანიამ დაბეგრა მხოლოდ მოგების გადასახადს დაქვემდებარებული ხარჯები, რომელიც სხვა საოპერაციო ხარჯად დაკვალიფიცირდა.

მოგების გადასახადის ხარჯი

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიმდინარე მოგების გადასახადი	-	(7,430)
სულ მოგების გადასახადი	-	(7,430)

4. ამონაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	8,364,805	10,648,741
შემოსავალი მომსახურებიდან	43,411	52,768
სულ ამონაგები	8,408,215	10,701,509

5. საპროცენტო ხარჯი

ფინანსური დანახარჯები მოიცავს ბანკის სესხისა და ლიზინგით მიღებული აქტივთან დაკავშირებულ ხარჯებს.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2022
სესხებზე დარიცხული პროცენტი	(607,894)	(341,634)
ფინანსური იჯარის პროცენტი	(3,530)	-
სულ საპროცენტო ხარჯი	(611,424)	(341,634)

6. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი მოიცავს შემდეგ ხარჯებს

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
კომუნალური ხარჯი	(42,996)	(36,271)
მიმდინარე რემონტის ხარჯი	(12,343)	(6,533)
სერვისის სახარჯი მასალა	(10,856)	(7,434)
ოფისის ხარჯი	(13,914)	(8,182)
მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები	(144,131)	(72,171)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(260,351)	(171,490)
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(484,591)	(302,081)

7. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული ბანკში	379,157	447,665
ფული სალაროში	5,141	642
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	384,298	448,307

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავს დაუფარავ დებიტორულ დავალიანებასა და მომწოდებლებისათვის გადახდილ ავანსებს:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო დებიტორები	104,616	405,063
წინასწარ გადახდები	1,219,045	1,095,371
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,323,661	1,500,434

9. მარაგები

კომპანიის მარაგები შედგება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტრაქტორებისგან, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების აგრეგატებისაგან და მათი ნაწილებისგან. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის და 2024 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის ერიცხება მარაგების შემდეგი ნაშთები:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მარაგები	7,541,223	6,674,010
სულ მარაგები	7,541,223	6,674,010

10. გრძელვადიანი მატერიალური აქტივები**თვითღირებულება**

საწყისი ღირებულება 01/01/2024	128,428
შემოსვლა	141,738
გასვლა	1,105
საბოლოო ღირებულება 12/31/2024	269,062

დაგროვილი ცვეთა

საწყისი ღირებულება 01/01/2024	53,737
შემოსვლა	33,203
გასვლა	664
საბოლოო ღირებულება 12/31/2024	86,277

საბალანსო ღირებულება

საწყისი ღირებულება 01/01/2024	74,691
საბოლოო ღირებულება 12/31/2024	182,785

შპს „აგროტექნო“
საანგარიშგებო ფულადი ერთეული ლარი

11. გრძელვადიანი არამატერიალური აქტივები

თვითღირებულება

საწყისი ღირებულება 01/01/2024	5,431
შემოსვლა	1,508
გასვლა	-
საბოლოო ღირებულება 12/31/2024	6,939

დაგროვილი ცვეთა

საწყისი ღირებულება 01/01/2024	1,104
შემოსვლა	987
გასვლა	-
საბოლოო ღირებულება 12/31/2024	2,091

საბალანსო ღირებულება

საწყისი ღირებულება 01/01/2024	4,327
საბოლოო ღირებულება 12/31/2024	4,848

12. სავაჭრო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	1,251,993	1,390,889
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,251,993	1,390,889

13. სესხები

კომპანიის ბალანსზე რიცხული ნასესხები სახსრები შედგება ბანკებისგან და პარტნიორი კომპანიისგან ნასესხები თანხებისგან

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	721,020	478,410
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	810,138	330,016
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	4,913,094	4,336,391
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,444,251	5,144,817

14. ფინანსური იჯარა

2024 წლის 10 ივლისს კომპანიამ მოკლევადიანი ფინანსური იჯარით აიღო აქტივი. აქტივის საწყისი ღირებულება არის 33,013 ლარი, დაგროვილმა ცვეთამ - 3,164 ლარი, ხოლო საბალანსო ღირებულებამ 29,849 ლარი შეადგინა.

ფინანსური იჯარის ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არის 17,061 ლარი, ფინანსურ იჯარაზე წლის მანძილზე დარიხულმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 3,530 ლარი.

15. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია.

16. საანგარიშგებო-პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი ანალიზი „საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები“ მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე. 2024 წლის 31 დეკემბრიდან 2025 წლის 26 სექტემბრამდე ორგანიზაციაში მოხდა შემდეგი მოვლენები:

2025 წლის ივნისში საქართველოს ბანკიდან აიღო მოკლევადიანი სესხი 550 000 აშშ დოლარის ოდენობით;

2025 წლის აგვისტოში კომპანიამ მოახდინა მოკლევადიანი 150 000 აშშ დოლარიანი საკრედიტო ხაზის პროლონგაცია;

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი შშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს; (გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 26 სექტემბერს.

შპს „აგროტექნო“-ს (ს/ნ 404451133) მმართველობითი ანგარიშგება

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „აგროტექნო“-ს საქმიანობის სფეროს წარმოადგენს: საცალო ვაჭრობა სასოფლო-სამეურნეო ნაწილებით, სასოფლო-სამეურნეო საშუალებების რემონტი და ტექნიკური მომსახურება, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რეალიზაცია.

სასოფლო სამეურნეო ნაწილების რეალიზაცია ხორციელდება საცალოდ. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რეალიზაცია ხორციელდება, როგორც საცალოდ, ასევე, გვაქვს კორპორატიული რეალიზაციები.

2. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „აგროტექნო“ დაფუძნებულია ფიზიკური პირის მიერ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში 2013 წლის 5 ივლისს, რეგისტრაციის N B25062663.

კომპანიის დამფუძნებელ-დირექტორად 2025 წლის 23 აპრილამდე ფიქსირდებოდა 100%-იანი წილის მფლობელი მიხეილ ალხანიშვილი (პ/ნ 01003001393).

2025 წლის 23 აპრილიდან მმართველ დირექტორად დაინიშნა მანუჩარი ჩიტაიშვილი (პ/ნ 60003005242), 100%-იანი წილის მფლობელად დარჩა მიხეილ ალხანიშვილი (პ/ნ 01003001393).

3. კომპანიის სტრუქტურა

კომპანიას გააჩნია შემდეგი დეპარტამენტები:

- ორგანიზაციული განვითარების დეპარტამენტი;
- კომერციული დეპარტამენტი;
- ფინანსური აღრიცხვის დეპარტამენტი;
- ტექნიკურ-საოპერაციო დეპარტამენტი.

4. ზიზნის გარემოსა და რისკების მიმოხილვა

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის იმპორტი და რეალიზაცია როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე, საქართველოს საზღვრებს გარეთ. იმისათვის რომ კომპანიამ დააზღვიოს სავალუტო კურსის სხვაობით გამოწვეული რისკი რეალიზაციას ხშირ შემთხვევაში ახდენს უცხოური ვალუტის ექვივალენტ ლარში.

კომპანია ოპერირებს საკმაოდ კონკურენტულ გარემოში, ამიტომ შპს „აგროტექნო“-ს გუნდი მუდმივად იკვლევს ფერმერთა საჭიროებებსა და პრობლემებს, რათა მათ შეუმსუბუქოს ყოველდღიური შრომა.

კომპანია თანამშრომლობს ყველა ბანკთან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან, ფერმერები ხშირად მიმართავენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტებს, როგორებიცაა: შეღავათიანი აგრო კრედიტი, მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსება, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა და სხვა.

წარდგენილი მმართველობითი ანგარიში ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2025 წლის 26 სექტემბერს.

დირექტორი
მანუჩარი ჩიტაიშვილი
2025 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

ფინანსური მენეჯერი
ხატია დიდუბაშვილი
2025 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო